იოჰან გუტენბერგი

50 პერსონა – მათ შექმნეს ისტორია

2019-09-06

50 პერსონა – მათ შექმნეს ისტორია

ტომი
40

გამომცემლობა პალიტრა L

ჟურნალ "ისტორიანის" ბიბლიოთეკა

ავტორი **სვეტა კვარაცხელია**

რედაქტორი ლადო იოსებაძე
კორექტორები: სვეტა კვარაცხელია, ნატალია ჩიმაკაძე
დიზაინერი ოთარ კანდელაკი
ტექნიკური რედაქტორი ზურაბ აბაშიძე
პროექტის მენეჯერი თეონა ბუაჩიძე
კომპიუტერული უზრუნველყოფა რეზო თხილიშვილი

© გამომცემლობა პალიტრა L, 2019
მისამართი: თბილისი, იოსებიძის ქ. #49
E-mail: book@palitra.ge; ტელ.: 238-38-71
www.palitral.ge

შესავალი

იოჰან გუტენბერგი ერთ-ერთი ცნობილი პიროვნებაა მათ შორის, ვისაც ოდესმე უცხოვრია დედამიწის ზურგზე, თუმცა ბევრი არაფერი ვიცით მისი ცხოვრების შესახებ. იგი პირველი ადამიანია ისტორიაში, რომელმაც წიგნები ცალკეულ ასო-ნიშანთა მოძრავი ლიტერების გამოყენებით დაბეჭდა. გუტენბერგი ოქრომჭედელი იყო, ტექნიკური ცოდნაც ჰქონდა და საკმარისი ფულიც იმისათვის, რომ თავად დაეფინანსებინა თავისი ექსპერიმენტები და ეს პროექტიც ბოლომდე განეხორციელებინა, მაგრამ მას გაცილებით მეტი თანხა დასჭირდა და ამიტომ პარტნიორი მოძებნა. იმის გამო, რომ გამომგონებელი მეტისმეტად ასაიდუმლოებდა თავის საქმიანობას, პარტნიორმა უჩივლა. ეს იყო ბედის ირონია, რადგან პირველმა მესტამბემ ვერავითარი სარგებელი ვერ პოვა თავისი გამოგონებით. კაცი, რომელმაც ბეჭდვის ისტორიაში გადატრიალება მოახდინა, სასამართლოში ჩვეულებრივ მოვალესავით იდგა და კითხვებს პასუხობდა, რადგან მევალეებმა საქმის ბოლომდე მიყვანა არ დააცადეს...

რა არის წიგნი? იგი ფენომენია, რომელიც პრაქტიკულად ცხოვრების ყველა მგრძნობიარე ასპექტს მოიცავს. კითხულობ რომანს თუ დეტექტივს, სულერთია, მღელვარება გიპყრობს, მთელი არსებით იმ სამყაროში ხვდები და ისევე განიცდი მოვლენებს, როგორც ნაწარმოების გმირები...

იოჰან გუტენბერგის გამოგონება – პირველი ტიპოგრაფიული დაზგის შექმნა – ის ფუნდამენტია, რომელზეც დაფუძნებულია თანამედროვე ისტორია, ჭეშმარიტი მეცნიერებები, პოპულარული ლიტერატურა... სწორედ წიგნმა შეუწყო ხელი ერებისა და სახელმწიფოების წარმოქმნას და ბევრ ისეთ რამეს, რასაც ჩვენ თანამედროვეობას ვუწოდებთ. რომ არა წიგნი, არ იქნებოდა ტექნიკური პროგრესი, მსოფლიო არ განვითარდებოდა და სამყარო წარსულის წყვდიადში დარჩებოდა.

თუკი ბოლო 5 ათასი წლის განმავლობაში კაცობრიობის განვითარების ისტორიას გრაფიკულად წარმოვიდგენთ, აღმოვაჩენთ, რომ ელექტრონული ფოსტის გამოგონებამდე

სამყარომ ოთხი ძირითადი ეტაპი გაიარა. პირველი ეტაპი – ესაა დამწერლობის წარმოშობა, მეორე – ანბანის შექმნა, მესამე – წიგნის ბეჭდვის გამოგონება მოძრავი ლიტერების საშუალებით და მეოთხე, გადამწყვეტი ეტაპი – ინტერნეტის შექმნა, რომელმაც ყველანი თითქოს ერთ მსოფლიო მექანიზმად გვაქცია.

ცოდნა და გამოცდილება, ზოგადად, ინფორმაცია, თავდაპირველად ზეპირი მონათხრობით, მოყოლილი ამბებითა და სიმღერით გადაიცემოდა. ინფორმაციის ამგვარი გავრცელება საუკუნეთა განმავლობაში, თაობიდან თაობაში სმენისა და თხრობის კულტურას აყალიბებდა. ამბების თხრობა, ე.წ. სტორი ტელინგი (story telling) ხვეწდა ენობრივ ქსოვილს, გამოხატვის სიზუსტესა და ლექსიკურ მარაგს. თუმცა ამას უარყოფითი მხარეც ჰქონდა – ადამიანური მეხსიერება ხშირად ზუსტი არ იყო. დროთა განმავლობაში ინფორმაცია იცვლებოდა – ადამიანი უკვე მოსმენილ ამბავს რაღაცას ამატებდა ან აკლებდა, ან სულაც საკუთარი ინტერპრეტაციით გადასცემდა სხვას.

ენა კომუნიკაციის საშუალებაცაა და გამომსახველობითი დანიშნულებაც აქვს, ანუ ის აზროვნების იარაღიც არის. ყოველი ადამიანის მიერ ცოდნა განსხვავებულად აღიქმებოდა და მისი მეორე პირისთვის გადაცემა ძაღზე სუბიექტური იყო. დღევანდელი ეტაპი, გარკვეულწილად, საწყისთან მიბრუნებაა და ძაღიან ჰგავს ისტორიული პროცესის ამ პირველ ეტაპს იმ განსხვავებით, რომ უამრავ სხვადასხვა საშუალებას შორის საგანგებოდ იქმნება წიგნის აუდიოჩანაწერები. ჩვენთვის საინტერესო ტექსტი შესაძლებელია ბოტის[1] საშუალებით წავიკითხოთ, რაც ცოდნის სმენით გადაცემისა და თხრობითი განათლების მიღების ახალ სტანდარტებს აყალიბებს. არსებობს ლიტერატურული და სხვა ტიპის პორტალებიც, რომლებიც ჯგუფურ შემოქმედებას, აზრთა გაცვლას და ამ ყველაფრის ერთ სისტემაში მოქცევას ითვალისწინებს ყველასთვის აღსაქმელი ტექსტის შესაქმნელად. ეს არის ტექსტი, რომელსაც მომდევნო თაობები დამატებით განავრცობენ და ხვეწენ ეპოქის მოთხოვნათა შესაბამისად.

დამწერლობას ექვსი ათასი წლის ისტორია აქვს. მის განვითარებაში სამ საფეხურს გამოყოფენ. პირველ საფეხურად ეგვიპტური იეროგლიფური (იდეოგრაფიული) და შუმერული ლურსმული წარწერები მიიჩნევა. შემდეგ მოდის სილაბური (მარცვლოვანი) და ალფავიტური (ანბანური) დამწერლობა. უფრო ადრეულ ეტაპად შეგვიძლია პიქტოგრაფია მივიჩნიოთ, მაგრამ ის არ ასახავს ენის ბგერით მხარეს და დამწერლობაც პირობითად შეგვიძლია ვუწოდოთ.

პიქტოგრაფია ნახატების საშუალებით აზრის გადმოცემაა, რომელიც ნებისმიერ ენაზე შეგვიძლია გავიგოთ. ამ დამწერლობათა თავისებურებებს საწერი მასალა და მოწყობილობა განაპირობებდა. იეროგლიფური და ლურსმული საწერ მასალად იყენებდა ქვას, ძვალსა და თიხის ფირფიტას. ტერმინი “იეროგლიფი” ამოჭრას, ამოკვეთასა და გრავირებას ნიშნავს. ლურსმულ დამწერლობასაც ეს ტერმინი, მისი გარეგნული მხარის გამო, ინგლისელმა მეცნიერმა, თომას ჰაიდმა 1700 წელს შეარქვა. საქმე ის არის, რომ ლურსმულის ნიშნები ძალიან ჰგავს მახვილთავა ბოლოწვეტიან ლურსმნებს. დამწერლობის პირველ საფეხურზე წერა უფრო კაწვრასა და ტვიფრვას ჰგავდა. ამის გამოა, რომ ბევრ ენაში კაწვრა და ხატვა ერთი და იმავე სიტყვებით გადმოიცემა. ძველეგვიპტურში, ძველბერძნულში, ძველ სლავურში, ლათინურსა და აქედან გერმანულში, ფრანგულსა და სხვა ევროპულ ენებში წერა, კაწვრა და ხატვა ერთი და იმავე სიტყვების ძირით აღინიშნება. ქართულ ენაშიც

წერა თავდაპირველად კვეთასა და ჭრას ნიშნავდა, წერტილი კი ნაჩხვლეტს. ამ თვალსაზრისით საინტერესო სიტყვაა თუნდაც წერაქვი.

ეს წიგნი ზემოთ ჩამოთვლილთაგან მესამე ეტაპს ეხება. დაახლოებით 600 წლის წინ მოძრავი ლიტერების მეთოდმა სწრაფად დაიწყო გავრცელება მთელ ევროპაში, შემდეგ კი პლანეტაზე. წიგნის ბეჭდვამ ისე რადიკალურად შეცვალა მსოფლიო, რომ დღეს მის გარეშე სიცოცხლე წარმოუდგენელია. გუტენბერგამდე შეიძლება ბეჭდვის მეთოდი სხვასაც გამოეგონებინა, რადგან XV საუკუნის ევროპაში საამისო საფუძველი არსებობდა და, სხვათა შორის, არა მხოლოდ გერმანიაში და არა მხოლოდ გუტენბერგის მშობლიურ ქალაქში. მიუხედავად ამისა, სწორედ იოჰანმა შეძლო ეპოვა ის იმპულსი, რომელმაც ყველა წინა პირობას თავი მოუყარა და ერთ გამოგონებად აქცია.

ბეჭდვის გამოგონებამ გამოიწვია ის, რომ გადამწერები აღარ იყვნენ საჭირო. ამ გენიალურ გამოგონებამდე ჯერ კიდევ ერთი წლით ადრე წიგნის ერთი ეგზემპლარის შესაქმნელად სულ ცოტა, ორი თვის შრომა მაინც იხარჯებოდა. გუტენბერგის წყალობით კი 500 ეგზემპლარის დამზადება ერთ კვირაში გახდა შესაძლებელი. სწორედ ეს იყო პირველ ხანებში საშუალო ტირაჟი. წიგნების მიწოდება კვლავ ძველებურად ხდებოდა — მსტოვრების ან ცხენების საშუალებით, მაგრამ ამას უკვე მნიშვნელობა არ ჰქონდა. წარმატებული წიგნი, იმ დროისთვის დიდი ტირაჟით დაბეჭდილი, თითქოს ქვა იყო, რომელიც წყალში ისროლეს — სიტყვები შხეფებივით აქეთ-იქით იფანტებოდა, როგორც ტალღა წყლის ზედაპირზე და ასობით, ათასობით, მილიონობით ადამიანს "წუწავდა", ანუ მათი სულის სიღრმემდე აღწევდა.

იმისთვის, რომ მცირეოდენი წარმოდგენა მაინც შეგვექმნას, რა მნიშვნელობა ჰქონდა იოჰან გუტენბერგის გამოგონებას, წამით ფრანკფურტის საერთაშორისო წიგნის ბაზრობაზე შევიჭყიტოთ, სადაც თავიანთ პროდუქციას მსოფლიოს ასობით ქვეყნის გამომცემლები გამოფენენ, მათ შორის აშშ-დან, ინგლისიდან, საფრანგეთიდან... საქართველოდანაც. თითოეული გამომცემელი ცდილობს, თავისი სტენდი სხვებისგან გამოირჩეოდეს და წიგნის მოყვარულთა ინტერესი გამოიწვიოს, რასაც ბეჭდური გამოცემის 400 ათასამდე დასახელება მოწმობს — და ეს მხოლოდ ის რაოდენობაა, რომელიც წინა ბაზრობის ჩამთავრების შემდეგაა გამოცემული.

თავი I. პატარა იმპერიის დიდი ძალაუფლება

იმ ეპოქაში, ანუ XII-XIII საუკუნეების მიჯნაზე, ევროპა არც ისე მჭიდროდ იყო დასახლებული, როგორც დღეს. ქალაქები, მოუწყობელი გზებით ერთმანეთთან დაკავშირებული, შეიძლება დღევანდელ სოფლებს შევადაროთ. გერმანიის დასავლეთ ნაწილში ერთი ქალაქიდან მეორეში მოხვედრას ადამიანები ნახევარ დღეს ანდომებდნენ ცხენით თუ ფეხით გადაადგილებისას. ნებისმიერი გზა აუცილებლად ტყეზე გადიოდა, სადაც მტაცებელი ცხოველები და "ავი სულები" ბინადრობდნენ. მაშინდელი მოსახლეობა ბნელი იყო. დიდი შენობები: ეკლესიები, ციხესიმაგრეები, მონასტრები უბრალო ადამიანებისთვის ჭეშმარიტ სასწაულს წარმოადგენდა. მდაბიოები მხოლოდ ეკლესიის მსახურებისგან ან დიდებულებისგან იგებდნენ, თუ რა ხდებოდა სამყაროში. სხვა საგანმანათლებლო საშუალებები მაშინ არ არსებობდა. ექსპერიმენტულ მეცნიერებას ისინი შეუძლებელ დარგად აღიქვამდნენ, ქრისტიანულ ღმერთს — ცოცხალ არსებად, უკვდავ სულს — ისეთივე